ოლიმპიადა მშობლიურ ენაში

I ტური – მე-4 კლასი (შემოდგომა, 2025)

I სავარჯიშო: არსებითი სახელი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

1. **ჩამოთვლილთაგან რომელია ადამიანის სახელი?**
   ა) ტბა ბ) ლამპარი გ) თეონა
2. **რამდენი ადამიანის სახელია წინადადებაში: „ირაკლი და ანა გურიაში დასასვენებლად წავიდნენ.“?**
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
3. **რომელ სიტყვას დაესმის კითხვა „ვინ?“**
   ა) დედა ბ) მაგიდა გ) კალამი
4. **რამდენი სიტყვაა წინადადებაში: „სოფოს მამას აქვს დიდი სახლი.“?**
   ა) ერთი ბ) ორი გ) ხუთი
5. **ჩამოთვლილთაგან რომელია უსულო საგანი?**
   ა) მაგიდა ბ) მერცხალი გ) ბებო

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებას!

II სავარჯიშო: მოქმედების გამომხატველი სიტყვები და მათი დრო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

6. **რომელია მოქმედების გამომხატველი სიტყვა წინადადებაში: „მარიამი სწრაფად ჩამოვიდა კიბეზე.“?**
   ა) მარიამი ბ) ჩამოვიდა გ) კიბეზე
7. **გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სწორი სიტყვა: „ბავშვებს ძალიან ..... ზღაპრების მოსმენა.“**
   ა) ენანებათ ბ) ახსოვთ გ) უყვართ
8. **ჩასვით მოქმედების სწორი სიტყვა: „ჩვენ ყოველ კვირას ..... ფილმს ერთად.“**
   ა) უყურებენ ბ) უყურებთ გ) ვუყურებთ
9. **როდის ხდება მოქმედება წინადადებაში: „დედა ახლა ამზადებს სადილს.“?**
   ა) წარსულში ბ) ახლა გ) მომავალში
10. **რომელ სიტყვაში ხდება მოქმედება მომავალში?**
    ა) წავალ ბ) ვხატავ გ) მოვედი

III სავარჯიშო: მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

11. **„სწრაფი“ ანუ:**
    ა) ნელი ბ) ჩქარი გ) მჟავე
12. **რომელი წყვილია საპირისპირო მნიშვნელობის?**
    ა) კარგი – კეთილი ბ) შიში – სკამი გ) ტკბილი – მწარე
13. **„ბავშვები <u>მაღლა</u> ავიდნენ.“ „მაღლა“ ანუ:**
    ა) ზემოთ ბ) ქვემოთ გ) გვერდზე
14. **„დათა <u>ძლიერი</u> ბიჭია.“ ხაზგასმული სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვაა:**
    ა) მწვანე ბ) ზეცა გ) სუსტი

15. როგორი სიტყვებია „დღე“ და „ღამე“?

ა) მსგავსი ჟღერადობის
ბ) მსგავსი მნიშვნელობის
გ) საპირისპირო მნიშვნელობის

IV სავარჯიშო: ნაცვალსახელები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

16. რომელ წინადადებაშია მეორე პირის ნაცვალსახელი?

ა) ის თამაშობდა დილით.
ბ) ჩვენ წავედით სკოლაში.
გ) შენ კარგად დახატე.

17. რომელ ჩამონათვალშია მხოლოდ პირველი პირის ნაცვალსახელები?

ა) მე, ჩვენ ბ) შენ, თქვენ გ) ის, ისინი

18. რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?

ა) ისინი გვესაუბრებოდნენ.
ბ) შენ მომწერე წერილი.
გ) მე მოგვაწოდეს ინფორმაცია.

19. ჩასვი სწორი ნაცვალსახელი: „ეს შენია, ხოლო ის – .....“

ა) შენ ბ) ჩემი გ) მას

20. შეარჩიე სწორი პასუხი გამოტოვებული ადგილისათვის: „ნინოს დაუბრუნე ..... წიგნი.“

ა) მან ბ) იგი გ) თავისი

V სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

სვეტიცხოვლის ტაძრის ისტორია

სვეტიცხოვლის ტაძარი მცხეთაში მდებარეობს. გადმოცემის მიხედვით, სწორედ აქ ინახება ქრისტეს კვართი, რომელიც ელიოზ მცხეთელმა იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამოიტანა.

პირველად ტაძარი IV საუკუნეში აშენდა ხისგან, წმინდა ნინოს მოღვაწეობის პერიოდში. XI საუკუნეში, მეფე გიორგი I-ის მეფობისას, ის დიდებული გუმბათოვანი ტაძრით შეიცვალა. არქიტექტორმა მრავალი დეტალი და ორნამენტი გამოიყენა, რათა სვეტიცხოველი არქიტექტურულადაც გამორჩეული ყოფილიყო.

ტაძარი დღესაც მოქმედია და მას ხშირად სტუმრობენ მორწმუნეები. სვეტიცხოველი არა მხოლოდ ისტორიის ნაწილი, არამედ არქიტექტურული ძეგლიცაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცავს ჩვენს სარწმუნოებასა და ტრადიციებს.

21. სად მდებარეობს სვეტიცხოვლის ტაძარი?

ა) მცხეთაში ბ) თბილისში გ) ქუთაისში

22. რას უკავშირდება სვეტიცხოველი გადმოცემის მიხედვით?

ა) გვირგვინს ბ) შუბს გ) ქრისტეს კვართს

23. ვინ ჩამოიტანა ქრისტეს კვართი იერუსალიმიდან მცხეთაში გადმოცემის მიხედვით?

ა) მასწავლებელმა ბ) ელიოზ მცხეთელმა გ) ბავშვმა

24. როდის აშენდა ტაძრის პირველი ვერსია?

ა) დღეს ბ) IV საუკუნეში გ) XIII საუკუნეში

25. რისგან აშენდა ტაძრის პირველი ვერსია?

ა) ხისგან ბ) აგურისგან გ) ბეტონისგან

26. ვისი მეფობისას შეიცვალა ტაძარი ახლით XI საუკუნეში?

ა) გიორგი I-ის ბ) თამარ მეფის გ) ერეკლე II-ის

27. როგორია სვეტიცხოველი?

ა) ხის პატარა ეკლესია
ბ) მინითა და რკინით აშენებული
გ) ორნამენტებით მორთული გუმბათოვანი ტაძარი

28. როგორია სვეტიცხოველი დღეს?

ა) დღეს თეატრია
ბ) აღარ ფუნქციონირებს
გ) მოქმედი ტაძარია და მორწმუნეთა სალოცავი

29. რატომ არის სვეტიცხოველი გამორჩეული?

ა) იქ ინახება ეროვნული დროშა
ბ) იქ დაიბადა ვახტანგ გორგასალი
გ) ის როგორც სარწმუნოებრივი, ისე არქიტექტურული ძეგლია

30. ტექსტის მიხედვით, რას იცავს სვეტიცხოველი საუკუნეების განმავლობაში?

ა) საზღვარს
ბ) სარწმუნოებასა და ტრადიციებს
გ) ოქროს ვაშლს

100-ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 5-ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

31. ანაგრამა ისეთი სიტყვაა, რომელიც სხვა სიტყვის ასოების გადასმით მიიღება. ჩამოთვლილთაგან რომელია სიტყვა „ვერსიას“ ანაგრამა?

ა) სერვერი ბ) ავერსი გ) რევერსი

32. ირაკლი კვირის მანძილზე მრავალფეროვან საკვებთან ერთად საკუთარი ორგანიზმისთვის საჭირო და სასარგებლო რძის პროდუქტებსაც იღებს. ირაკლის ეს ქცევა არის:

ა) ცალმხრივი კვება ბ) დაბალანსებული კვება გ) სწრაფი კვება

33. „ცხვირი ჩამოუშვა“ ნიშნავს:

ა) გაიხარა ბ) გაუფრთხილდა გ) ეწყინა

34. გაზაფხულის თვეებია:

ა) მარტი, აპრილი, მაისი
ბ) სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი
გ) იანვარი, თებერვალი, მარტი

35. ილია ჭავჭავაძე არის:

ა) მწერალი ბ) მომღერალი გ) მსახიობი